

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
ადმასრულებელი საბჭოს  
სხდომა**

20 მარტი 2008 წელი

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:**  
ქ. თბილისი, არაყიშვილის I ჩიხი №9

**სხდომის დაწყების დრო: 18:29სთ.**

**სხდომაზე დამსწრე ადმასრულებელი საბჭოს წევრები:**

კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), დავით ასათიანი, რუსუდან პიტავა,  
ზურაბ ტაბიძე, ზაზა ხატიაშვილი.

**სხდომის თავმჯდომარე:** კახაბერ ასლანიშვილი

**დღის წესრიგი:**

1. ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ გაწევრიანება კავშირში „საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტი საქართველოში“ (აი-სი-სი საქართველო);
2. ასოციაციის განვითარების გეგმის წარდგენა.

ადმასრულებელი საბჭოს სხდომა გახსნა თავმჯდომარემ და გააკეთა მოკლე მიმოხილვა „საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტის შესახებ“. მისი განმარტებით ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ინსტიტუციურ არბიტრაჟს წარმოადგენს და რომლის მიზანია უენევის კონვენციის მიხედვით მიღებული წესები, რომლის მიხედვითაც საქმეების განხილვის უფლება აქვს საინსტუციო არბიტრაჟებს. საქართველოში ეს არის წარმატებული მცდელობა, იმიტომ რომ ჩამოსული იყო აქ პრეზიდენტი პარიზის საარბიტრაჟო პალატის, რომელმაც შეაფასა შექმნილი მდგომარეობა და ჩამოყალიბდა ეროვნული კომიტეტი ამ აი სი სი პალატის ანუ საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის.

გუშინ დაეგზავნა თვითონ იმ ხუთ კავშირს, რომელთა ნუსხასაც აქ წავიკითხავ და ამიტომ რომ არ ამერიოს სახელწოდებები წავიკითხავ, ვინ არიან ამ ეროვნული ნაციონალური კომიტეტის წევრები ჩვენთან და რას მოგვცემს ჩვენ ამასაც აქ ვაყალიბებ და რომ არ გავიმეორო მირჩევნია წავიკითხო: რეგისტრირებულმა კავშირმა, საერთაშორისო სამართლის ეროვნულმა კომიტეტმა საქართველოში, აი სი სი საქართველო მისი წესდების სამივე პუნქტის თანახმად, შემოგვთავაზა კავშირში გაწევრიანება. კავშირის წევრები არიან ს.ს.ი.პ. საქართველოს სავაჭრო სამმართველო პალატა, კავშირები: ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში, ეროვნული სავაჭრო პალატა საქართველოში, საქართველოს გადასახადების გადამხდელთა უფლებათა დაცვის კავშირი, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, საქართველოს ბიზნეს კონფედერაცია. როგორც კავშირის თავმჯდომარის, ფადი ასლის 2008 წლის 11 მარტის წერილიდან ირკვევა, ჩვენი თანხმობის შემთხვევაში, კავშირის გამგეობას შეუძლია უახლოეს სხდომაზე განიხილოს ჩვენი გაწევრიანების საკითხი. წლიური საწევროს ოდენობა შეადგენს 1600 ლარს. მთავარი სარგებელი, რასაც ჩვენ ასოციაციას, ეს უკვე ჩემი ნააზრევია, ზემოდსხენებულ კავშირში გაწევრიანება მოუტანს, გახლავთ ჩვენი წარმომადგენელის პარიზის საარბიტრაჟო კომისიის საქმიანობაში ჩართვა, რაც საქართველოს ადვოკატობას დააახლოებს საერთაშორისო ინსტიტუციურ არბიტრაჟებთან. გარდა ამისა, საკანონმდებლო ინიციატივის ღობირების და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომლობა ისეთ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან როგორც არიან აღნიშნული კავშირის წევრები. მიმაჩნია რომ, ჩვენი გაწევრიანების შესახებ, რაც აღმასრულებელი საბჭოს პრეროგატივაა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს. აი ეს არის რა მომართვითაც მე მივმართავ საბჭოს წევრებს, ვფიქრობ რომ საწევროს ოდენობა, რომელიც ახლა ფაქტიურად, ერთადერთი ფინანსური ვალდებუებაა ჩვენთვის ამ კავშირში გაწევრიანებიდან გამომდინარე, ზომიერიცაა ადვოკატურის და ვფიქრობ, შედარებით მცირე არის იმ სარგებელთან, რომელიც შეიძლება ამ გაწევრიანებამ მოგვიტანოს. კერძოდ რა არის - განსაკუთრებით სამოქალაქო სპეციალიზაციით მომუშავე ადვოკატებისათვის, ვინც ასოციაციაშია არიან გაწევრიანებულნი და კანონიდან გამომდინარე, ეს იძლევა შესაძლებლობას რომ ჩვენმა წარმომადგენელმა, რომელიც ნომინირებული იქნება საბჭოს მხრიდან, ვინც მიიღებს მონაწილეობას ათენში, პარიზში და სტოკჰოლმში ამ პანელის წევრი ხდება, ანუ ამით, თუ მივიღებთ გადაწყვეტილებას ჩვენი ასოციაციის წარმომადგენელი. პანელი ნიშნავს არბიტრთა სიას, ნუსხას, რომელიც მხარეთა, ნებისმიერ მხარის ევროპაში არსებული ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ნომინირებული იქნება მათთვის სასარგებლო არბიტრად, როგორც ნეიტრალური პირი. ალბათ ერთერთი პრიორიტეტი ეს იქნება მათთვის და ჩვენს წარმომადგენელს შესაძლებლობას მისცემს რომ, ასე ვთქვათ იყოს არბიტრი, ეს ჩვენთვისაც იქნება სახელი ასოციაციისთვის, ასე ვთქვათ ნეიტრალური, ობიექტური და ნაციონალური იურიდიული პროფესიის წარმომადგენლობის მიერ იქნება ნომინირებული და ამავე დროს, ჩვენთვის იქნება ერთერთი საშუალება რომ ჩვენ მივიღოთ ინფორმაცია, ჩვენმა ადვოკატებმა მიიღონ ინფორმაცია, მას შემდეგ რაც ამ ორგანიზაციაში ჩვენი გაწევრიანების საკითხი დადებითად იქნა გადაწყვეტილი, რა წესით, ამ პროცედურებით ხდება საქმის წარმოება ამ ინსტიტუციურ არბიტრაჟებში, ანუ ეს წარმომადგენელი ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით, ასოციაციასთან ერთად, შეერთდება რომ ითამაშოს ხიდის როლი ერთგვარად, ვთარგმნოთ ჩვენ ყველანაირი წესები და ავთენტური თარგმანი შევასრულოთ, მოვახდინოთ პოპულარიზაცია ამ ინსტიტუტის და როცა დაფუძნდება და ვფიქრობ, ეს არის ერთერთი, მე როგორც ვფიქრობ და

როგორც ვუყურებ ამ ჩვენ გაწევრიანებას, ერთერთი წინა პირობაა სწორედ ჩვენნაირი ტიპის და ამასთანავე გეტყვით რომ საქართველოს ბანკირთა ასოციაცია წევრიანდება ჩვენთან ერთად თუკი ჩვენ თანხმობას მივცემთ ამ საკითხს ამ ნაციონალურ კომიტეტში. ეს არის საფუძველი იმისა რომ, საქართველოში გაიხსნას მომავალში და ეს მცდელობა აქვს სწორედ ფადი ასლის, ვიცი რომ მისი მოქმედება აქეთკენ არის მიმართული გაიხსნას ამ ინსტიტუციური არბიტრაჟის წარმომადგენლობა.

მთავარი საკითხი, რისთვისაც ჩვენი ტიპის ორგანიზაციების ჩართვა სურს მას, მე რაც შევამჩნიე ეს არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ბანკირთა ასოციაცია, რათქმაუნდა, ალბათ ერთერთი შეთავაზება იქნებოდა გაკეთებული ლეგიტიმურობისა და მეტი დამაჯერებლობისთვის ლიცენზია მიიღოს ჩვენმა ეროვნულმა კომიტეტმა, ეგ იქნება ერთერთი კარგი ნაბიჯი, სასარგებლო ნაბიჯი. ეს იქნება წინაპირობა საქართველოშიც შეიქმნას და ამით დაბალი ხარჯები შეგვიძლია ჩვენ მივიღოთ როგორც სარგებელი ჩვენი ასე ვთქვათ რეზიდენტი პირებისათვის დავების განხილვის დროს როგორც ალტერნატიულ საშუალებით დავების განმხილველი ორგანიზაციისთვის მიმართვისას, ანუ პარიზში წასვლას, ლონდონში წასვლას თუ კი ვიდაცას მხარეებს აქვთ თავის ხელშეკრულებებში ჩადებული რომ მათი ურთიერთობისას დავის არსებობის შემთხვევაში განიხილოს არბიტრაჟებმა გაცილებით ნაკლები დაჯდება საქართველოსა და თბილისში თუ კი საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ითამაშებს განსაზღვრულ როლს იგივე საარბიტრაჟო პანლის დაკომპლექტებაში გაცილებით ნაკლები დაუჯდება მხარეებს და ესეც არის თვითონ ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისთვის ერთერთი წინგადადგმული ნაბიჯი და პლუს ამას, რათქმაუნდა მე სამომავლო საკითხზე ვლაპარაკობ, ეს არ არის დღეისა და ხვალის საქმე მაგრამ, ჩვენ ახლა ისეთ სიტუაციაში გვიწევს ყოფნა, როდესაც შეიძლება 1600 ლარი პირდაპირ რომ ვთქვათ, ეკონომიკურად სამზე გავამრავლოთ, სადღაც სამ წელიწადში შედეგს მივიღებთ. ნუ ჩვენ ვლაპარაკობთ 4500 ლარზე. გვიღირს თუ არა რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ითამაშოს ერთერთი გადამწყვეტი როლი იმაში რომ, თბილისში საერთაშორისო სავაჭრო პალატა დაფუძნდეს, რომელიც განიხილავს საქმეებს, რომელიც იქნება ავტორიტეტული ორგანიზაცია და პლუს ამას გაუმჯობესდება ბიზნეს გარემო. პირადად მე მიმაჩნია რომ, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისთვის და იმ საკითხების გადაწყვეტისათვის რომელიც ახლა ჩვენი ბიზნესისთვის და საერთაშორისო ბიზნესისთვის აქტუალურია, ერთერთი აუცილებელი პირობაა რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები გაჩნდეს ქვეყანაში და არ იყოს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოსთან დიქტატორ ბიზნესში შეჯახებული საერთო სასამართლოების სისტემაში. ასე რომ მე ჩავთვალე, ჩვენი ასოციაციისთვის რაღაცა დადებითის მომტანი იქნებოდა და იქნება ეს წევრობა. მითუმეტეს მაშინ როცა ხვალ განიხილება მათ მიერ ეს საკითხი თუ კი ჩვენ დადებითად ვუპასუხებთ ამ გადაწყვეტილებას და ამიტომ დავაყენე ეს საკითხი.

ზვიად კორძაძე - ორი რაღაცაა, ერთი ფადი ასლის სახელი და გვარი თვითონ და მეორე, რამდენადაა სპეციფიკა ჩვენთვის მისაღები. შენ რასაც ამბობ რა თქმა უნდა, მე არბიტრაჟების დამფუძნებელი ვარ თვითონ, ფუნქციონირებს არბიტრაჟი, არბიტრაჟთა ასოციაციები არსებობს, ანუ არბიტრაჟების სისტემა საქართველოში მუშაობს, ეხლა რა თქმა უნდა ის არ არის რასაც შენ ამბობ, სიტყვაზე პაროზს რომ თავი დაანებო დუბაის არბიტრაჟის დონეზეც არ არის აქ მაგრამ, ამას ვფიქრობ ჩვენ საქმე რამდენადაა და რამე სხვა მიმართულება არ იყოს.

თავმჯდომარე - მე სხვათაშორის ერთ რაღაცას ვიტყვი ამასთან დაკავშირებით, თვითონ ფადი ასლის რეპუტაცია მე ამ შემთხვევაში ნაკლებად მაინტერესებს.

ზვიად კორძაძე - მეც ნაკლებად მაინტერესებს, მაგრამ ვიღაცები ქვეყნისთვის რომ არჩევენ ხელმძღვანელად იმათი რეპუტაცია მაინტერესებს.

თავმჯდომარე - ამაშია ზუსტად საქმე, მე ამ ხალხის რეპუტაციაში ეჭვი ვერ შემაქვს

ზვიად კორძაძე - ფადი ასლი არის ამერიკის სავაჭრო პალატის ხელმძღვანელი დაირქვა შექმნა და არი, თუმცა რეალურად, რამდენად ამერიკის სავაჭრო სამეთვალყურეო პალატაა ეს სარის საკითხავი? მე უარყოფითი ინფორმაცია მაგ კაცზე რაიმე კონკრეტული კი არ მაქვს მაგრამ არ მომწონს სუფთა, მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან, თორემ რამე შეხება არ მქონია, ერთადერთი პროცესზე. აი ასე რაღაცეებს ჩაღიწობს, სახელებს ირქმევს, რაღაცეებს ქმნის რომ იტივიტივოს ზევით. ბიზნეს რაც შეეხება, და მის რეპუტაციას და რა ქნა მაგ შენ მომართე ქეთი ქვარცხავას კითხვით და გეტყვით. ეს შეხება მქონია ერთადერთი პროცესზე კვირის პალიტრას უჩიოდა და მეტი არაფერი. ესეთი აზრი მაქვს ჩამოყალიბებული, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ეს არის ჩემი არგუმენტი.

როინ მიგრიაული - ე.ი. ეს საერთაშორისო სავაჭრო პალატა, ამას საფუძველი ჩაუყარა ჯერ კიდევ, ერთი გერმანელი აფერისტი პროფესორი იყო გრანტი. გადამოწმდა ამ პროფესორის ე.წ პროფესორობა და აღმოჩნდა რომ აფერისტი იყო, ანუ ესეთი პირებისგან დაიწყო ორგანიზაციის საქმიანობა, მე ვთვლი რომ ისინი უფრო თავის საქმეს იკეთებენ, ვიდრე ჩვენ ჩვენ საქმეს გაგვიკეთებენ. ესეთი შტაბჰელისება მრჩება, იმიტომ რომ ელემენტარულად, რა ღონისძიებები აქვს ჩატარებული გავიგოთ ამის შესახებ. ეს არავითარი არბიტრაჟი არ არის და არავითარი, მე მაგათ არბიტრაჟზე ერთერთ არბიტრად ვიყავი მიწვეული თუ რაღაცა, წარმოიდგინე ერთი საქმე არ აქვთ. უშუალოდ პარიზის საერთაშორისო სავაჭრო პალატას დაუკავშირდით თქვენ და იქედან გაიგეთ ინფორმაცია. მე ეჭვქვეშ ვაყენებ და უნდა დავადგინოთ წარმომავლობა.

დავით ასათიანი - მე მქონდა შეხება, რამაზ კლიმიაშვილი იყო ამის შეფი.

ზვიად კორძაძე - რატომ არის ეს საჩქარო, ახლა რომ არ გავწევრიანდეთ მერე არ მიგვიღებენ?

რუსუდან პიტავა - შეიძლება მეც ვიკითხო? შეიძლება კარგად ვერ გავიგე ყველაფერი, მაგრამ აი მე მაინც მინდა კონკრეტულად, რა სიკეთე მოაქვს ამას ჩვენთვის? მე კარგად ვერ გავიგე არბიტრებად შეიძლება ჩვენი რომელიმე დაინიშნოს და ეს არბიტრაჟი იქნება?

როინ მიგრიაული - როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ საერთაშორისო სავაჭრო პალატაზე, სულ მცირე მისი წარმომადგენლობა უნდა იყოს. ჩვენი ყოფნა გადამწვევტია მათი ლიცენზიის მისაღებად ხო?

თავმჯდომარე - საერთაშორისო სავაჭრო პალატა არის ინსტიტუციური წესების შემომტანი ერთადერთი ორგანიზაცია. ჩვენთან საქართველოში პარიზის არბიტრაჟი, პარიზის არბიტრაჟის სახელით არის ცნობილი თორემ ეგ არის სინამდვილეში საერთაშორისო სავაჭრო პალატა. მაგის ლიცენზიის ქვეშ მოქმედი არბიტრაჟი ვერ შეიქმნება თუ კი, ნაციონალური კომიტეტი არ იარსებებს. მე ჩავთვალე და ქართულ დოკუმენტებში არის ეს, იმიტომ რომ ამ ხალხს აქვს საქმიანობის დიდი ხნის პერსპექტივა, საბჭოს წევრები ყავთ ამ ორგანიზაციაში... მე რატომ ჩავთვალე რომ შემომეთავაზებნია თქვენთვის და ეს მიმაჩნია განვითარების ერთერთ მთავარ წინაპირობად ასოციაციის. რომელ სახელმწიფოშიც კი დაფუძნდა ინსტიტუციური არბიტრაჟი ევროპის ფარგლებში,

ამ შემთხვევაში ევროპაა ჩვენთვის მნიშვნელოვანი, იქ ყველგან ასოციაციამ ითამაშა გადამწყვეტი როლი, ან ასოციაციის წევრებმა. ჩვენ შემთხვევაში ასოციაციის ცალკეული წევრები ნიკა ღვინაძე, მაგალითად ერთადერთი წევრია ამ შემთხვევაში, ვინც არის ამათი წევრი, როდესაც ასოციაცია იქნება იმ ეროვნული კომიტეტის დამფუძნებლად, რომელიც შემდგომ რაღაცას გააკეთებს ლიცენზიის მიღებაზე, მე ვფიქრობ ეს იქნება ერთერთი... ბუნებრივია. ეს არის წინა პირობა საქართველოში შემოვიდეს საერთაშორისო არბიტრაჟი და ამავე დროს, ეს ერთგვარი ტრიბუნაც ხდება ჩვენთვის და ჩვენ ვხდებით ერთი კავშირის წევრები.

მიგრიული – ჩვენს მიზნებში როგორ ჯდება, ჩვენი ასოციაციის მიზნებში? შენ ლაპარაკობ ქვეყანაში. . .

ზვიად კორძაძე – წევრი, რიგითი წევრი, რომელიც კითხულობს რატომ ვიხდით თუნდაც 1600 ლარს, მე რას მაძლევს ეს? მაზე პასუხი თუ გაქვთ.

თავმჯდომარე – მთლი ერთი წუთი, ერთ რაღაცას ვიტყვი, მე მჯერა, როგორც ერთერთ საბჭოს წევრს, რომ ეს არის დადებითი მოვლენა. კენჭისყრაზე დადგა კავშირში „საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტი საქართველოში“ გაწევრიანების საკითხი

სამი მომხრე: კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), დავით ასათიანი, ზურაბ ტაბიძე.

სამი წინააღმდეგი: რუსუდან პიტავა, ზვიად კორძაძე, როინ მიგრიული.

კავშირში გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია.

სარევიზიო კომისიის საკითხი დარჩა ღიად.

კენჭისყრაზე დადგა საწევრო გადაუხდელ წევრთა საკითხი. გარიცხვის თარიღად განისაზღვრა 2008 წლის 3 მაისი.

წევრთა გარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

კახაბერ ასლანიშვილი  
თავმჯდომარე